საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №13/ნ
2023 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 02.07.2021; სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.018042) დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 32-ე და 33-ე პუნქტები:

,,32. ამ წესის შესაბამისად ჩარიცხულად ჩაითვალოს და პროფესიული განათლების მართვის სისტემაში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მიენიჭოს ამ წესის ამოქმედებიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ ყველა პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა ამ წესით განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურებისგან განსხვავებული წესით;

33. დაევალოს მართვის სისტემას, ამ მუხლის 32-ე პუნქტის შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, დაწესებულების მიმართვის საფუძველზე.”.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **თამარ მახარაშვილი**